ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3505119

ნომერი: AR1534431

თარიღი : 22.08.2017

გაცემის თარიღი : 30.08.2017

გაცნობის თარიღი : 07.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის IV მ/რ , N13-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის IV მ/რ , კორპუსი N13-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ მოთიაშვილი პ/ნ 01010017490
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ IV კვ. კორ. 1 ბ. 59

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1534431 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ დოკუმენტაციას ქ. თბილისში, #01.14.02.010.079 დაკადასტრო ერთეულზე მშენებლობასთან დაკავშირებით, აგრეთვე ეწინააღმდეგებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას და წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, #01.14.02.010.079 საკადასტრო ერთეულზე გაცემულია შემდეგი სახის აქტები:

2016 წლის 19 სექტემბრის #2828909 გადაწყვეტილებით დადგინდა მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება.

2016 წლის 01 დეკემბრის #2924939 ბრძანებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

2017 წლის 16 აგვისტოს #3476695 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2016 წლის 01 დეკემბრის #2924939 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

2017 წლის 23 აგვისტოს #AR1532056 განაცხადით სამსახურს მომართა დიმიტრი თოდუამ და მოითხოვა ქ, თბილისში, #01.14.02.010.079 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არიქტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის #3501597 გადაწყვეტილებით მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც აღნიშნულის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თქვენი მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით #2828909 გადაწყვეტილების, #2924939, #3476695 ბრძანებების და თანდართული დოკუმენტაციის ასლებს.

ამასთან გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 4 ლარის და 05 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან (სივრცე #4), შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დანართი: 81 ფურცელი

1.მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2.მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3.ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6.გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი. (#AR1534431 22.08.2017წ.)
